საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/08/2025

MES 7 25 0000968525

გადაწყვეტილება

შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტ ნეუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.5. აკრედიტაციის დებულების 275 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №109325 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის ფორმულირება შეცვალა და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

„რეკომენდებულია გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შინაარსობრივი თვალსაზრისით თითოული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით.“

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.1 კომპონენტის ცვლილება.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაიზიარა:

„გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დაწესებულების მიერ მოდულად სახელდებული ნაწილები და გაიწეროს თითოეულის შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის ავთენტური მიზანი.

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.1 კომპონენტის ცვლილება.

გ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის ფორმულირება შეცვალა და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

"რეკომენდებულია გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები თითოული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით.“

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.2 კომპონენტის ცვლილება.
დ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:
„გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დაწესებულების მიერ მოდულად სახელდებული ნაწილები და გაიწეროს თითოეულის შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგი.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.2 კომპონენტის ცვლილება.
ე) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში:
„სასურველია პროგრამის სტრუქტურაში გამოიძებნოს ადგილი არჩევითი კურსებისათვის და მიეწოდოთ სტუდენტებს საკუთარი პედაგოგიური კომპეტენციის სხვადასხვა პროფილური ცოდნით გამდიდრების შესაძლებლობა“,

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ვ) აკრედიტაციის საბჭომ 2.1 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ იმ ნაწილში, რომ ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტის განათლება ამასთანავე შესაბამისი იყოს ესგ-თი გათვალისწინებულ საგანთან/საგნობრივ ჯგუფთან.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 2.1 კომპონენტის ცვლილება.
ზ) აკრედიტაციის საბჭომ 2.2 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაიზიარა:
რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება ითვალისწინებდეს პრაქტიკანტების რაოდენობას.
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 2.2 კომპონენტის ცვლილება.
თ) აკრედიტაციის საბჭომ 2.3 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაიზიარა:
რეკომენდებულია, დარედაქტირდეს სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილი და გამოირიცხოს სწავლების მეთოდთა გადაფარვები;
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 2.3 კომპონენტის ცვლილება.
საბჭომ აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტის შეფასებაში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის ცვლილება, ვინაიდან მე-2 სტანდარტის მხოლოდ ერთი კომპონენტი იყო შეფასებული, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, მე-2 სტანდარტი აკრედიტაციის დებულების თანახმად, უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.
ი) აკრედიტაციის საბჭომ 4.5 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში:
სასურველია ბიუჯეტში ცალკე იქნას გათვალისწინებული ონლაინ სწავლების საჭირო რესურსით უზრუნველყოფისთვის თანხა.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულს არ გამოუწვია მეოთხე სტანდარტის ცვლილება.
კ) აკრედიტაციის საბჭომ 5.3 კომპონენტში არსებული შემდეგ დააკორექტირა.
რეკომენდებულია გამოკითხვებში სტუდენტთა მონაწილეობა იყოს ნებაყოფლობითი.
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც 5.3 კომპონენტის, ასევე, მე-5 სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტ ნეუ-ს მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური)" მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 21 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური)" შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 4 აგვისტოს სხდომის №968514 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შინაარსობრივი თვალსაზრისით თითოული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები თითოული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რადგან წარმოდგენილი რუკის მიხედვით იდენტიფიცირებული ძირითადი სასწავლო კურსები შესაბამისი დონეების მითითებით მეტწილად არ ფარავს სწავლის შედეგებს ან იკვეთება შეუსაბამობა საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგის კონტექსტს შორის.
- რეკომენდებულია გასწორდეს და დარედაქტირდეს საგნობრივი სილაბუსების სწავლის შედეგების ფორმულირებები;
- საგნობრივ სილაბუსებში შესასწავლი თემატიკების შესაბამისად გადანაწილდეს სასწავლო მასალა და მიეთითოს თითოეული კვირის ფარგლებში დასამუშავებელი შინაარსი;
- განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლების საგანს დაემატოს მოსწავლის ეთიკის კოდექსისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის (§24. ბავშვის უფლება განათლების მიღებაზე) ნაწილები;
- რეკომენდებულია, ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდიკურ სილაბუსებში ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის გათვალისწინება საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფორმატისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ საჭირო ინფორმაცია.
- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ იმ ნაწილში, რომ ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტის განათლება ამასთანავე შესაბამისი იყოს ესგ-თი გათვალისწინებულ საგანთან/საგნობრივ ჯგუფთან.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აქტიური პრაქტიკის საკონტაქტო საათები და განისაზღვროს პასიური პრაქტიკის მინიმალური რაოდენობა შეფასების სისტემაში;
- რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტის ეფექტიანი ორგანიზებისთვის პრაქტიკის გზამკვლევში გაიწეროს პრაქტიკის ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები და დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა;
- რეკომენდებულია, ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის პედაგოგიური პრაქტიკის კონტექსტისაგან გამიჯვნა, მხოლოდ პრაქტიკულ კომპონენტად გააზრება და დამოუკიდებელი პრაქტიკის 10 კრედიტამდე გაზრდა შესაბამისი საკონტაქტო საათების გაზრდის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან პროგრამის აღწერაში მეთოდის, სტრატეგიის, დავალების ფორმატის შინაარსები და გაიწეროს შესაბამისად
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსის შინაარსსა და მის განხორციელების ფორმატზე მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდები შემუშავდეს.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები და მეთოდები შემუშავდეს სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის - „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყებით საფეხურზე სწავლებისას“ - დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტში მაქსიმალური და მინიმალური ქულებისთვის ცალკეული კრიტერიუმები შემუშავდეს და ობიექტური შეფასების მიზნით შეიქმნას ანალიტიკური რუბრიკა.
- რეკომენდებულია ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება და პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე და ონლაინ სწავლების მეთოდებში.
- ლექციების მსვლელობის უწყვეტობის მიზნით უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ულიმიტო ონლაინ პლატფორმა, რაც საშუალებას მისცემს ლექტორსა და სტუდენტს სწავლის პროცესის სათანადოდ და შეუფერხებლად წარმართვას.
- რეკომენდებულია, ბიუჯეტში ცალკე იქნას გათვალისწინებული ონლაინ სწავლების საჭირო რესურსით უზრუნველყოფისთვის თანხა.
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო რუკების შემუშავების პროცესში სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა.
- რეკომენდებულია გამოკითხვებში სტუდენტთა მონაწილეობა იყოს ნებაყოფლობითი.
- საგნობრივი მეთოდიკების საგნებს დაემატოს რემედიაციისა და უნივერსალური სწავლების დიზაინის შესატყვისი შინაარსები, რათა უკეთ გახდეს შესაძლებელი დარგობრივი დოკუმენტით რეკომენდებული კომპეტენციისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.
- რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების ფორმატი ჰიბრიდული/ონლაინ სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 21 ივლისს.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად